GAU
შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი
GEORGIAN AMERICAN UNIVERSITY, LLC

მერაბ ალექსიძის 10, თბილისი 0160, საქართველო
10 Merab Aleksidze Street, Tbilisi 0160, Georgia
T (+995 32) 220 65 20 F (+995 32) 220 65 19
info@gau.ge www.gau.ge

კურუკულუმი

სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლა (ფაკულტეტი)

პროგრამის სახელწოდება

საერთაშორისო ურთიერთობები

საფეხური

დოქტორანტურა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სოციალური მეცნიერებების დოქტორი საერთაშორისო ურთიერთობებში

პროგრამის თანახელმძღვანელობა

ანა-მარია დუტჩიკ სეგესტენი
მარინა მუსხელიშვილი

პროგრამის მოცულობა და სტრუქტურა

პროგრამის მოცულობა 180 კრედიტი.

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა იყოფა სამ კომპონენტად: სასწავლო, სამეცნიერო - კვლევითი და თავისუფალი.

სასწავლო კომპონენტი არის სასწავლო ელემენტების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ამზადებს მას სადისერტაციო ნაშრომის შესასრულებლად და მომავალი სამეცნიერო-კვლევითი ან/და პედაგოგიური საქმიანობისათვის.

სასწავლო კომპონენტში დოქტორანტი აგროვებს 60 კრედიტს - აქედან, 45 სავალდებულოა, ხოლო შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კომპონენტიდან დოქტორანტი აგროვებს 15 კრედიტს, იმისდა მიხედვით, რომელი უნარ-ჩვევის მეტად განვითარება უნდა.

სავალდებულო სასწავლო კომპონენტები:

- აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები - 10 კრედიტი;
- თვისობრივი კვლევის მეთოდები - 5 კრედიტი;
- რაოდენობრივი კვლევის მეთოდები - 5 კრედიტი;
- სწავლების მეთოდები - 10 კრედიტი;
- სემინარი I – 15 კრედიტი.

არჩევითი სასწავლო კომპონენტები:

- ინგლისური (C1-I) – 5 კრედიტი;

- ინგლისური (C1-II) – 5 კრედიტი;
- პროფესორის ასისტენტობა - 10 კრედიტი;
- სემინარი II – 15 კრედიტი;
- დემოკრატიული ტრანზაცია აღმოსავლეთ ევროპაში - 5 კრედიტი;
- პოლიტიკური სოციოლოგია - 5 კრედიტი;
- თანამედროვე უსაფრთხოების დღის წესრიგი - 5 კრედიტი;
- ევროკავშირი როგორც გლობალური აქტორი - 5 კრედიტი;
- თანამედროვე ეპოქაში პოლიტიკური გაუცხოების პრობლემა - 5 კრედიტი;
- საერთაშორისო ეკონომიკა - 5 კრედიტი.

კვლევით კომპონენტში დოქტორანტი აგროვებს 120 კრედიტს.

პროგრამა ითვალისწინებს თავისუფალ კომპონენტს - **15** კრედიტის მოცულობით, რომელსაც დოქტორანტი აგროვებს სასწავლო კომპონენტის ნაცვლად სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლაში ან ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში არსებული სხვა იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული აკრედიტებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში არსებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან დაგროვებული კრედიტების საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით აღიარების შემთხვევაში.

დოქტორანტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა

სწავლების ენა

ქართული და ინგლისური

პროგრამის მიზანი

- სახელმწიფოს წინაშე არსებული მოთხოვნებისა და გამოწვევების შესაბამისად, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში კვლევითი საქმიანობისათვის კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს არსებული აქტუალური და პრობლემური საკითხების გამოვლენას და ფართო, ღრმა, სისტემური სამეცნიერო კვლევის წარმოებას;

- მეცნიერული კვლევის შედეგების პრაქტიკაში დანერგვის გზების ძიება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

- საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მაღალი ხარისხის სამეცნიერო პროდუქტის შექმნა, რომელიც წარმოაჩენს ახალ ცოდნას შესაბამისი საკითხის შესწავლა–განვითარებაში;

- უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად თანამედროვე სწავლისა და სწავლების მეთოდოლოგიით აღჭურვილი აკადემიური კადრის მოზადება, საქართველოს საჭიროებების შესაბამისად არსებული რეგიონული კონტექსტისა დ საერთაშორისო გარემოს გათვალისწინებით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მაგისტრის ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მასთან გათანაბრებული კვალიფიკაციისა და უცხო ენის (ინგლისური) ფლობა მინიმუმ B2 დონე-ზე;

უცხო ენის ცოდნის დონის გამოსავლენად აპლიკანტი აბარებს ტესტირებას დროებით საფაკულტეტო კომისიასთან; პირი, რომელსაც აქვს შესაბამის დონეზე ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი ან პირველი ან/და მეორე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა გავლილი აქვს უცხო ენაზე (ინგლისური) ტესტირებისგან თავისუფლდება;

აპლიკანტი გასაუბრებას გადის სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის (ფაკულტეტის) სადისერტაციო საბჭოში.

სავარაუდო სტუდენტთა რაოდენობა

5 სტუდენტი

პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა შეიძლება განხორციელდეს წელიწადში ორჯერ საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრში, წინასწარ გამოცხადებული საკვლევი თემატიკის შესაბამისად.

დასაქმების სფერო

პროგრამის დასრულების შემდეგ სოციალურ მეცნიერებათა დოქტორს საერთაშორისო ურთიერთობებში შესაძლებლობა ექნება, განაგრძოს მოღვაწეობა როგორც აკადემიურ სირცეში, სწავლებისა და კვლევის მიმართულებით, ისე - სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებებში.

სწავლის შედეგები/კომპეტენციები (ზოგადი და დარგობრივი)

<u>ცოდნა და გაცნობიერება</u>

- სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული და საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევების შესაბამისი ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტების დონეზე;
- საერთაშორისო პროცესებში განხორციელებული ცვლილებების, სიახლეების და არსებული პრობლემატიკის გაცნობიერების უნარი.

<u>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</u>

- ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა;
- საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციაზე მუშაობის უნარი;
- პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი წყაროს მოძიების, ანალიზისა და გამოყენების უნარი;
- კვლევის პროცესში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების უნარი;
- საერთშორისო პროცესების შესწავლისას შესაბამისი სიახლის წარმოჩენის უნარი.

<u>დასკვნის გაკეთების უნარი</u>

- თეორიისა და პრაქტიკის ანალიტიკური ანალიზისა და კვლევის, შესაბამისად, პრაქტიკისა და თეორიის დაახლოვების, სფეროს განვითარებისათვის მეცნიერული რეკომენდაციების შემუშავების უნარი;
- საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში საკვლევი საკითხების გააზრების, კომპარატივისტიკის მეთოდიკის გამოყენებით მეცნიერულ ანალიზის, დასკვნების, რეკომენდაციების, ინოვაციებისა და წინადადებების შემუშავების უნარი;
- ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი.

<u>კომუნიკაციის უნარი</u>

- საერთაშორისო პროცესებთან დაკავშირებულ საკითხებზე მშობლიურ და ინგლისურ ენაზე შესაბამის საზოგადოებასთან პოლემიკაში ჩართვის, საკუთარი პოზიციის გარკვევით წარმოჩენის უნარი.

<u>სწავლის უნარი</u>

- საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში სწავლისა და კვლევის წარმოებისას უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების ან პროცესების განვითარებისათვის მზაობა.

<u>ღირებულებები</u>

- ღირებულებების დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური გზების შემუშავება.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სასწავლო კომპონენტში სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მეთოდები:

1. **ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.**

2. **დისკუსია/დებატები** – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში.

ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

3. **ჯგუფური მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

4. **წიგნზე მუშაობის მეთოდი.**

5. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება** (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

6. **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

7. **შემთხვევის ანალიზი (Case study)** - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, კაზუსის ამოხსნა.

8. **გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად, დაფაზე);
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

9. **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს

სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

10. **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი:**

- სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ;

- სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ;

- სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება;

- სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლების, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

11. **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

12. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

13. **წერითი მუშაობის მეთოდი,** რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება და ა.შ.

სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით პროფესორი იყენებს ერთდროულად რამდენიმე მეთოდს. ეს ინფორმაცია დაწვრილებით ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

კვლევით კომპონენტში პროფესორისა და დოქტორანტის მიერ საკვლევი თემატიკის სპეციფიკურობიდან გამომდინარე შეიძლება შეირჩეს დამატებითი მეთოდი(ები).

შეფასების სისტემა

დოქტორანტის მიერ შესაბამის სასწავლო კომპონენტში კრედიტების მიღება/დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ სასწავლო კომპონენტის სილაბუსით გათვალისწინებული

სამუშაოს წარმატებით დასრულებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

სასწავლო კომპონენტის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა.

დოქტორანტის შეფასება განისაზღვრება შემდეგი შეფასების სისტემისა და რაოდენობრივი მაჩვენებლის მიხედვით:

დადებითი შეფასებები
(A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91 და მეტი;
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

უარყოფითი შეფასებები
(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა;
(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები.

(FX) ვერ ჩააბარა - უარყოფითი შეფასების მქონე სტუდენტს უფლება აქვს დამოუკიდებელი მუშაობის შემდეგ კიდევ ერთხელ გავიდეს დამატებით დასკვნით გამოცდაზე;

(F) ჩაიჭრა - უარყოფითი შეფასების მქონე სტუდენტი ვალდებულია ახლიდან გაიაროს სასწავლო კურსი.

სასწავლო კომპონენტში დოქტორანტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს.

დასკვნითი გამოცდის შეფასების ქულაა 40, დანარჩენი 60 ქულა ნაწილდება შუალედური შეფასებების მიხედვით.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა დოქტორანტს, რომელიც სემესტრის განმავლობაში შუალედური შეფასებებით დააგროვებს მინიმუმ 25 ქულას.

დოქტორანტი, რომელსაც დაგროვილი არ ექნება სავალდებულო მინიმალური ქულა (25), დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება. დასკვნითი გამოცდის მინიმალური სავალდებულო ქულაა 16.

დისერტაციის შეფასება ხორციელდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც დოქტორანტი დაასრულებს მასზე მუშაობას. დისერტაცია, ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).

დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომი ფასდება შეფასების შემდეგი სისტემის მიხედვით:

დადებითი შეფასება

- ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი;
- ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

- საშუალო (bene) - საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
- დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს.

უარყოფითი შეფასება

- არადამაკმაყოფილებელი (insufficient) - არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
- სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი;

არადამაკმაყოფილებელის (insufficient) მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო სრულიად არადამაკმაყოფილებელის (sub omni canone) მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას;

დაწვრილებითი ინფორმაცია პროგრამის კოპონენტების შეფასების შესახებ იხ. სკოლის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში და სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში.

დაცვაზე დაშვების წინაპირობები

- სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული პროგრამის შესრულება;
- სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა იმის თაობაზე, რომ გაეცნო დისერტაციას და ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვაზე დასაშვებად;
- ცნობა იმის თაობაზე, რომ გამოქვეყნებული (ან გამოსაქვეყნებლად მიღებული) აქვს მინიმუმ ორი სამეცნიერო პუბლიკაცია რეფერირებად ჟურნალში.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი თანხა ყოველწლიურად გაითვალისწინება ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიუჯეტში.

პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები (საპროფესოროები);

- წიგნადი ფონდითა და თანამედროვე საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- სამართლის, სოციალური მეცნიერებებისა და დიპლომატიის სკოლაში არსებული კვლევითი ინსტიტუტები, რომელთა ბაზაზე დოქტორანტს შესაძლებლობა აქვს ხელმძღვანელის ზედამხედველობით მონაწილეობა მიიღოს განხორციელებულ პროექტებში და განივითაროს კვლევითი უნარ–ჩვევები;
- ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტსა და სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებს, სახელმწიფო უწყებებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს (მაგ. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფორდჰამის უნივერსიტყეტი (აშშ), ვაშინგტონის უნივერსიტეტი) შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, რომელთა ფარგლებში დოქტორანტის მიერ საკვლევი საქმიანობის განხორციელებისას ხდება მათი მატერიალური და აკადემიური რესურსის გამოყენება.